№ 151 მკათათვე 19, ოთხშაბათი 1889 მკათათვე 19, ოთხშაბათი № 151


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სოფიო იოსების ასული იოსელიანისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებასა ქმრისას, იასონ სოფრომის ძის იოსელიანისას, რომელიც გარდაიცვალა ქ. იალუტოროვსკში, 12 ამ თვეისას, და სთხოვს მობრძანდნენ ამაღლების ეკკლესიაში, სოლოლაკზედ, პარასკევს, 21 მკათათვისას, დილის 9 საათზედ, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (2—1)


ისყიდება

„საქართველოს სამოთხე“

ოც-და-ერთი წიგნი არის კიდევ დარჩენილი.

ფასი თითო წიგნისა ერთი თუმანი, გაგზავნით თერთმეტი მანათი.

ადრესი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა, № 16. საბინინის სადგომი. (5—2)


ტფილისი, 18 მკათათვე

როგორც ჩვენში, ისე მთელს რუსეთშიაც, თავად-აზნაურობის ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა მეტად დაქვეითებული და შევიწროებულია. იშვიათია ისეთი მამული თავადისა თუ აზნაურისა, რომ ვალი არ ედოს, ისეთი ვალი, რომელსაც მამულის პატრონი პირ-ნათლად ვერ უძლვება. დიდ-ძალი მამული თავად-აზნაურობისა დაგირავებულია სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში, კერძო საადგილ-მამულო ბანკებში და ან კერძო ფულის პატრონების ხელში. ხშირად ერთსა და იმავე მამულს რამდენიმე ვალი აძევს და ამიტომ თავად-აზნაურობა მეტად გაჭირებულს ყოფაშია. დიდ-ძალი მამული თავად-აზნაურობისა სხვებზედ გადავიდა, ასე რომ წინანდელი პატრონები ხელ-ცარიელნი დარჩნენ. ზოგი გლეხზე გადავიდა, ზოგი ვაჭარზე, ზოგიც თვით ბანკებს დარჩა, და ვისაც მამული ჯერ კიდევ ხელიდგან არ გასხვისებია, ისიც სულს ძლივს იბრუნებს. რასაკვირველია, როცა საკრედიტო დაწესებულებათ ჰმართავდნენ და აარსებდნენ, აზრად ისა ჰქონდათ, რომ თავად-აზნაურობისათვის და საზოგადოდ მეურნეობისათვის ხელი შეეწყოთ, მაგრამ ეს აზრი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ნახევრად ფუჭი გამოდგა.

სანამ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი დაარსდებოდა, კერძო საადგილ-მამულო ბანკები მოქმედებდნენ და კიდეც მოქმედებენ. რაკი დაინახა, რომ თავად-აზნაურობა ვერ ასდის კერძო საადგილმამულო ბანკების [illegible] დღე დღრტვინავსო, მართებლობამ განიზრახა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის დაარსება და კიდეც დააარსა. რათა შეღავათი მიეცა მსესხებელთათვის, შედარებით ნაკლები პროცენტი დააწესა და სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი სესხსაც უფრო უხვად იძლეოდა. გარდა ამისა ამ სამის წლის განმავლობაში სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი ჩვეულებრივის ბანკების წესს-კი არ მისდევდა: სახელდობრ, იგი საშუალებას მოკლებულს იყო ყოველს წელიწადს ეხდევინებინა მსესხებელისათვის წლიური გადასახადი და ამიტომ უფროს-ერთს მემამულეს, აგერ სამი წელიწადია, არავითარი გადასახადი არ შეუტანია. ბანკიც უთმობდა თავად-აზნაურობას, რადგანაც მოხერხება და საშუალება ჰქონდა მოთმენისა და დათმობისა.

მაგრამ საქმე მუდამ ამ ყოფაში ვერ დარჩებოდა და ამ ზაფხულს მართებლობამ უნდა გამოარკვიოს და დაამტკიცოს ის წესები, რა წესებითაც შესაძლო იქნება მსესხებელთ სავალდებულო გადასახადი შეატანინოს ბანკში. რა თქმა უნდა, რომ ამ ახალის წესით სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკმა ბაზარში უნდა გამოიტანოს ყველა ის მამული, რომლის პატრონებსაც ამ ორი-სამის წლის განმავლობაში გადასახადი არ შეუტანიათ. როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, ამ გვარი მამულები დღეს სახელმწიფო ბანკს ორმოც-და-ათის მილიონისა აქვს და ამდენი მამული გასასყიდლად უნდა გამოიტანოს. ეჭვი არ არის, რომ უფროს-ერთი მემამულე სამის წლის გადასახადს ერთად ვერ შეიტანს და არც იმდენი სხვა მყიდველი გამოჩნდება, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკმა გაჰყიდოს ამდენი მამული. პირიქით, უფროს-ერთი მამული ხელში ჩარჩება და ამ სახით ხაზინას ხელში მოთავსდება დიდ-ძალი ადგილ-მამული.

ამ ამბავს დიდი ზედ-მოქმედება ექნება რუსეთის საადგილ-მამულო ყოფაზე: ოც-და-ათის, ორმოცის მილიონის მამული ხელიდგან უნდა გამოეცალოს წინანდელს პატრონებს და, ადრე თუ გვიან, სხვებს უნდა ჩაუვარდეს ხელში.

რა უნდა მოაგვაროს მართებლობამ, რომ ამდენი მამული ერის საკეთილდღეოდ გამოიყენოს? ეს დიდად სავალალოა, რადგანაც, როგორც ვთქვით, ვერც წინანდელი პატრონები შეისყიდიან თავიანთ მამულებს და ვერც იმდენი ახალი მყიდველი გამოჩნდება, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკმა გაასაღოს ოც-და-ათის, ორმოცის მილიონის მამული.

რუსულის მწერლობის აზრით. კარგი იქნება ხაზინამ ისე მოაგვაროს საქმე, რომ ეს მამულები გლეხობას შეაძენინოს. საქმე ის არის, რომ დღეს რუსეთში გლეხობას საკმაო და კარგი მიწა-წყალი არა აქვს, ერთის სიტყვით, ნივთიერად მეტად შევიწროებული და დაქვეითებულია, ამიტომ დიდ-ძალი გლეხობა სტოვებს მამულ-დედულს და მიდის ცხრა მთას იქით, ციმბირს. ამასობაში თვით რუსეთს აკლდება მუშა ხალხი და თვით გლეხობაც დიდს განსაცდელში ვარდება. სანამ დანიშნულ ადგილას მივიდოდეს, გადასახლებული ჰკარგავს სულ უკანასკნელს საცხოვრებელს და შიშველ-ტიტველი, ხელ-ცარიელი და მშიერ-მწყურვალი მივა ხოლმე ახალს ბინაზე, მაგრამ ხშირად, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ვერც აქა ხეირობს. ამიტომ ან უკანვე სამშობლოში ბრუნდება და ან კიდევ სხვაგან მიდის, და ასე და ამ გვარად წლიდგან წლამდე უგზო-უკვლოდ დაეხეტება. რუსული მწერლობა იმ აზრისაა, რომ ხაზინამ ამ უგზო-უკვლოდ მოსიარულე გლეხობას, რომელსაც სამშობლოში საკმაო საკუთარი მიწა-წყალი არა აქვს და არც საშუალება და სახსარი აქვს სხვისი შეისყიდოს, ან სხვაფრივ მოიპოვოს, შეაძენინოს სათავად-აზნაურო ბანკის მამულები. ამ სახით გლეხობას ხეტიალი არ დასჭირდება და ისევ შინაობაში და ახლომახლო ადგილებზე დაბინავდებაო. მწერლობის აზრით, მართებლობამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა წესითა და რიგით უნდა შეაძენინოს

## ფელეტონი

### იხვზედ ნადირობა

(ხარიტონას ნაამბობი)

ალაზნი პირზედ დამსხდარა
„ბუინა“ იხვებისაო;
ერთი მაუქანი იხვუნა
კარგა ახლოსა ზისაო.
გამოვაწვადე შტუცერი,
ბუმბული ამოდისაო!
მე მგონავ დავინარჩუნებ,
ჩავიტკბანურებ პირსაო.
ის თურმე წყალში შასულა,
ჩაყუნთებულა ძირსაო!
მიველ და ვათვალიერებ
ორთავ მდინარის პირსაო,
მაგრამ რას დასწრწი, რას ეძებ,
რა დაგიკარგავ, ძმისაო?!
მერე-კი თურმე ვერანაჰ
შუქი მოუნდა მზისაო;
თეთრი გულ-ყია ამოჩნდა
და პატა წვერი მხრისაო.
თან მინდა გამოვიტანო,
თან მეშინიან წყლისაო.
თოფი მაქ, ღმერთ გეფიცები,
ჰწოვრედ სახსარი ტყვისაო!
მაგრამ რო ცარიელია,
მე რაღას მარგებს ისაო!?
თავი მეგონა, მაგრამა
სხვაც შემხვდა ჩემი ჰკვისაო...
მე რომ თოფს ტენა დაუწყე,
ის ისევ წაძვრა ძირსაო!
მივდიე, ვერ დავიჭირე,
კაი მანძილი გზისაო.
მერე რომ ვერა გავხდი-რა,
ნაშე დავაგდე წყლისაო;
გულ-დაწყვეტილი მოვბრუნდი,
თვალი იქითვე რბისაო.
მზეზედ თოვლივით ლაპლაპებს,
მიცურავს, წყალსა სჭრისაო!
მოვდივარ, თანა ვბუტბუტებ:
პირი გრისხამდეს ღვთისაო!
ჯერ არ მოჰრჩები მგონია,
და თუ მოჰრჩები, ძმისაო,
ახში ხომ დაგახსომდება
გემო იმ საფანტისაო.

1888 წ. ბაჩანა

### ქართველთა შორის.

ვაზის ძირიმე, ვაზისა.—„კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო“.—ჩვენებური ჰერკულესი-აგრონომები.—სამეურნეო საზოგადოება.

ბევრს ნაკლულევანებას აიტანს ქართველი კაცი, ბევრს გაჭირებას დახვდება ვაჟკაცურად და ხშირად ისე დაახწევს თავს, თითქო ბუზიც არ აჰფრენიაო, მაგრამ უღვინობას-კი სწორეთ ვერ გაუძლებს. კვირაში რომ ერთხელ მაინც ქართველურად არ დაეწაფოს წუნწუსა და სასოებით არ დალოცოს ნოეს ხე, არ მოეალერსოს — „ვაზის ძირიმე, ვაზისაო“, შეუძლებელი საქმეა. მაინც კარგი რამ სასმელია ეს დალოცვილი ქართული ღვინო, რომელიც „ხარებს გულსა კაცისასა“ და კაცსა გულისასა და რომელზედაც დილიდამ საღამომდე გესმის განუწყვეტელი სიმღერა — „ღვინოვ კახურო, ვარ შენ მსმელი, გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი“. მეც ღვინის მსმელი ვარ, არც ცხვირ ზევით არ ავიცილებ ამ კრთხეულს სასმელს, არც ის ჩაუშვე ნიკაპ ქვევით, მაგრამ ძნელი ის არის ვიქმნებით-ღა მსმელნი ჩვენის ღვინი, თუ ველარ ვიქნებით. ჯერ ამ ხუ-ექვსის წლის წინათ აგვიტანა სამარლიანმა შიშმა, როდესაც ერთმა ვაც მეისნერმა შეგვატყობინა თავი მადა კახურ ღვინის მიმართ და გაცხადა სურვილი სირაჯობა დაეწ ჩვენში, მაგრამ ისეთი სირაჯობა რომ რაც საქართველოში ღვინოდის, სულ თავის ქვევრებში მოქვდია და თხის პატრონისთვის თხის ედიც აღარ ერგუნებინა. ღვთით, გორც იყო მეისნერს დავახწიეთ ღვინოცა და ჩვენი ვენახებიც. წერის შიშმა გადიარა, ჩვენც ცოტი ამოვისუნთქეთ გულიანად.

ახლა ამ ორი-სამის წინად გავარდა ხმა, რომ ფულით გამოტენილს როტშილდს ვია საღერღელი ჩვენის ღვინოზე და გადაწყვეტილი აქვს თავისალი დაიამოს იმითი, რომ პატად გაუხდეს ჯერ ჩვენს ვენახებს და იგ ღვინოებსაო. მეისნერის შიში ისარა გვქონდა და ჩვენ, როგორც როტშილდისა, იმიტომ რომ მეისნერს სირაჯობისთვის ფული არა ჰქონდა საკუთარი, უნდა სხვებისაგან მოეკრიბნა და ისე შეედგინა თანხა. ჩვენ ცოტაოდენი იმედი კიდევ გვრჩებოდა — ეგებ არავინ მიუამხანაგდეს, ფული არავინ ანდოს და მაშინ ეგ მეხი თავის თავად გადაივლისო. როტშილდი-კი ამ მხრივ სრულებით თავისუფალი კაცია და არავისზე დამოკიდებული. ერთი-კი მოხსნას პარკებს პირი, თორემ ფულით სწორეთ დასეტყვავს ჩვენს ქვეყანასა, და კუპხალი ხომ რა არის მტევნისა, იმასაც აღარ დაგვაძლევინებსო. აი, ამის კანკალმა აგვიტანა და აღარ ვიცოდით ვეღირსებოდით-ღა ხსნასა, თუ არა.

მაგრამ ობლის მამა ხომ ღმერთია და სწორეთ თავისი მოწყალე მამობა გაუწია ქართველ ერს, რომ არ დაასეტყვინა ჩვენი თავი როტშილდს და არ გაგვიხადა ისეთი საქმე, რომ ბამბით გველო ქვევრის ძირიდამ თითო წვეთი ჩვენის ღვინისა, „თეთრი იქნებოდა იგი, თუ წითელი“.

**

რომ დამდგარიყო ჩვენში ღვინის მეფობა ან მეისნერისა, ან როტშილდისა, უეჭველია ჩვენ ველარ ვიქნებოდით მსმელნი კახურის ღვინისა გინდ თეთრი ყოფილიყო, გინდა წითელი. ხოლო ერთი ეს-კი დაგვრჩებოდა ხელზე დასახვევად, რომ ღვინოს ჩვენი სახელი ერქმეოდა, თუმცა სახრავზე-კი ზედაც არავინ გვასუნებინებდა. ამასთანავე ის მაინც თვალისთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ ვენახებს მარად დავინახავდით ჩვენს მინდვრებზე. მართალია, ჩვენც იმ კატის დღეში ჩავცვივდებოდით, რომელზედაც ქართული ანდაზა ამბობს: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“, მაგრამ მაინც ასე ვინუგეშებდით თავს: ღვინოს მარტო იმიტომ ვერა ვსვამთ, რომ პარასკევია დღესაო. იმედი რამ კიდევ გვექნებოდა, რომ ერთხელ ჩვენთვისაც გათენდება შაბათი და ან სხვა უფრო ბედნიერი დღე, სულ ხომ ეს ნავსიანი პარასკევი არ იქნებაო.

მკითხველს მოეხსენება, რომ მეისნერსა და როტშილდზე ბევრით საშინელი ჭირი გადაეკიდა ჩვენს ვენახებს: ნაცარიო, რაღაც სოკოები და ობებიო, ფილოქსერაო. ამათი მოდება და გავრცელება სწორედ სიკვდილია ჩვენის მეღვინეობისა და აბა კიდეც აქ არის ქართველი კაცი ფიქრსა და დარდში — ვიქნებით-ღა როდისმე მსმელნი ღვინისა, თეთრი იქნება იგი, თუ წითელი, ისიამოვნებს-ღა როდისმე კიდევ ჩვენი თვალი გადაჭიმულ ვენახების დანახვით, თუ ეს ლამაზი და ჩინებული მცენარე სულ უნდა გადავარდეს საქართველოს ნიადაგიდამ. აქ პარასკევი ხომ ვერას გვარგებს და ვერას, ამისთანა უბედურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულეხობას სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკზე დარჩენილი მამულებით.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** პეტერბურგიდგან ამბავი მოსულა, რომ მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს უნებებია და დაუმტკიცებია უწმინდესის სინოდის განკარგულება იმის შესახებ, რომ ღვთის-მეტყველების კანდიდატებს, რომლებიც სამრევლო სკოლებში მსახურობენ, სამრევლო სკოლაში სამსახური ჩაერიცხოთ საპენსიო სამსახურად. დღემდე-კი ამ კანდიდატებს სამრევლო სკოლებში სამსახური არ ეთვლებოდათ საპენსიო სამსახურად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება მარიამობისთვის 26. ვაკანსიები მხოლოდ მესამე და მეოთხე კლასებშია, დანარჩენს კლასებში-კი არავის მიიღებენ, რადგანაც ვაკანსია სრულიად არ არის.

*** კვირასა და ორშაბათს სომხებს დიდი დღესასწაული ჰქონდათ. პირველს დღეს ფერისცვალება იყო და მეორე დღეს მიცვალებულების მოხსენება. ორშაბათ დღეს მთელს ტფილისში დაკეტილი იყო მაღაზიები, ქარხნები, და ხალხი გაემგზავრა სოფ. კრწანისში წინაპრობის დღესასწაულის გამო. კრწანისი მშვენიერი ადგილია, სავსეა ბაღებით, და ამიტომ დიდ-ძალს ხალხს იზიდავს ხოლმე. ხალხი კვირა დღესვე [illegible] ნაურს და მთელი ღამე ქეიფში გაეთენებინა. ორშაბათს დილით, რიყრაყზე, ტფილელები რამდენიმე ასი ქალი და კაცი გაუდგნენ გზას, ზოგი ეტლით, ზოგი ცხენის რკინის გზით და ზოგიც ფეხით. დილითვე კრწანისის ბაღები და ტაძრის გალავანი სავსე იყო ხალხით.

წირვის შემდეგ ყველგან გაიშალა სუფრები და მოისმა აქა-იქ ახლო ბაღებიდამ დუდუკისა, ზურნისა, საზანდრის და არღნის ხმა. ერთ წუთს შემდეგ სიმღერაც გაისმა ქალებისა. კაცები-კი ჯერ ყანწებსა სცლიდნენ. მოვიდა ამათი დროც და დაიწყეს სიმღერა და ცეკვა. ამ დროს თანდათან ემატებოდა ეტლებით მოსულები და საღამოზე იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ეკკლესიის გალავანში ეტლები არც-კი ეტეოდა. ვახშამზე მსხდომთ, თითქმის ყველამ გაათენეს. მოქეიფე კინტოებს აერჩიათ თავიანთთვის სხვა ალაგი. იმათ ორთაჭალის სამიკიტნოების წინ გაეშალათ სუფრა და აქ გათენებამდე ქეიფობდნენ. სასიამოვნო ის არის, რომ, თუმცა პოლიცია ნაკლებად იყო, მაგრამ არავითარი უწესოება და ურიგობა არა მომხდარა-რა.

*** სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ოსტროვსკიმ ნება დართო მიეცეს ასი თუმანი პეტერბურგის სამეურნეო საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღოს კავკასიის გამოფენაში. ამ საზოგადოებამ უნდა გამოჰფინოს ტფილისში სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღი და აგრეთვე ხილის გასაშრობი მაშინები. ხელმძღვანელად ამ იარაღებისა და მაშინების გამოცდის დროს დაუნიშნავთ მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ვალერიან ვასილის ძე ჩერნიაევი.

*** ეჩმიაძინის სომხთა სასულიერო აკადემიის რექტორი არშაკ გასპარის ძე ხაპაპეტოვი [illegible] ზონად უკურთხებიათ და სომხთა პატრიარქ-კათოლიკოსის მაკარის განკარგულებით იმავე თანამდებობაზე დაუტოვებიათ.

*** ზარის ოხვეთი: ზარის ოსები, თავიანთ გაჩენისამებრ, საერო ჯარიმას ახდევინებენ ქალის ძალით მოსტაცებელს, მაგრამ ზოგი ჯარიმასაც არ უფრთხის. სჩანს, ძველის ძველი ჩვეულება ასე ადვილი გადასაგდები არა ყოფილა. ამ თვეის პირველს რიცხვებში სოფ. ბრეთში მცხოვრებმა ოსმა, ქუნდუხოვმა, ქალი მოსტაცა შანაევს. ამ ამბავმა ფეხზე დააყენა ამ ქალის მშობლები და ნათესავები და მდევრად დაედევნენ ქუნდუხოვს და ამასთან მთავრობასაც შეატყობინეს. მოტაცებული ქალი სოფ. ბესლანში იპოვეს და აღმოჩნდა, რომ ამ ქალს ქუნდუხოვი ქმრად არა ჰსურვებია. თვით ქუნდუხოვი სადღაც მიიმალა და დღესაც ვერ უპოვნიათ, თუმცა გულ-მოდგინედ დაეძებენ. ისინი-კი, ვინც ქალის მოტაცებაში ერივნენ, ყველანი შეიპყრეს.

*** ამ თვის 16-ს, ღამით, ვილაცებს მოუპარავთ სამი ზარი სარტიჩალის საწყობისა. პოლიცია დაეძებს ქურდებს და დანაკარგსაც.

*** 17-ს ამ თვისას პირველს განყოფილებაში ქ. ნუხის მცხოვრები გასპაროვი მტკვარში ბანაობდა და დაიხრჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „ივერიაში“ ამ ჩემს მცირე შენიშვნას.

ზოგიერთი გამომცემელნი სხვა-და-სხვა ლექსთა კრებულისა ჩემდა დაუკითხველად ჰბეჭდვენ თავ-თავის გამოცემაში ჩემს შაირებს. მარტო ამ გარემოებას ყურადღებას არ ვათხოვებდი და მათ მიერ ავტორის არარად ჩაგდებას [illegible] მივაწერდი და ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ბატონები არა თუ თვით-ნებლობით და ყოვლად უაზროდ მთელს ტაეპებს აკლებენ ხოლმე შიგა-და-შიგ ჩემს შაირებს, არამედ რასაც დანარჩენს ჰბეჭდვენ, იმასაც ისე ასხვაფერებენ, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ამახინჯებენ, რომ თვით მე ვეღარა ვსცნობ მათ ჩემ შაირებად.

გარდა ამისა, ბოლოს დროს ერთმა ლექსთა კრებულის გამომცემელმა ზემოხსენებულ გარემოებათ ისიც დასძინა, რომ ნაცვლად ფსევდონიმის „ფაზელისა“, რომელსაც მე ყოველთვის, გვარის ნაცვლად, ვაწერ ჩემ შაირებს, მოაწერა ჩემი სახელი და გვარი. ეს-კი, მგონი, ლიტერატურულის ჩვეულების წინააღმდეგია და მეტის-მეტიცაა...

დასასრულ, უმორჩილესად ვსთხოვ ბ-ნ გამომცემელთ ამიერ მაინც თუ ინებებენ ასეთს ქცევას

მამია გურიელი

15 ივლისი 89 წ.
ქ. ქუთაისი.

## უცხოეთი

ბულგარია. ბოლგარიაში სულ 3 მილიონამდე მცხოვრებელია. ჯარში მოვალეა იმსახუროს ყველა მამაკაცმა, სარწმუნოების განურჩეველად. სამსახურის ვადა 10 წელიწადია. ამ ათ წელიწადში 2 წელიწადი უნდა დაჰყოს ჯარში, ხოლო 8 წელიწადს სახლში იქმნება, მაგრამ საჭიროებისამებრ მოითხოვენ სამსახურში. არტილერიასა, კავალერიასა და საპიორებში 3 წელიწადია ვადა სამსახურისა. მილიციაში, ანუ როგორც რუსულად ამბობენ, ოპოლჩენიეში, ითვლება ყველა ქვეშევრდომი ბოლგარიისა 40 წლისაზე ნაკლები, ვინც-კი ან ჯარში არა მსახურობს და ან დროებით არის დათხოვნილი სახლში. მშვიდობიანობის დროს მილიციელები წელიწადში ერთხელ მოიკრიბებიან ესე 50 დღით თოფის სროლაში სავარჯიშოდ. ამ მხრივ მთელი ბოლგარია 24 თემად არის გაყოფილი. თითოეულს თემში მილიციელები მოიკრიბებიან სოფლობრივ. თითო სოფლიდამ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სამამასახლისოდამ გამოდის ასი კაცი, რომელთაც უფროსად ასის თავი ჰყავთ თავიანთ შორის არჩეული. ვისაც უნდა, ცხენით ჰყავს, ვისაც უნდა, ქვეითია.

თუ მშვიდობიანობაა, ბოლგარიის ჯარების რიცხვი ამდენია:

| | ჯარის-კაცი |
|---|---|
| სხვა-და სხვა სამხედრო გამგეობაში . . . . . . . | 376 |
| ქვეითი ჯარი 48 ბატალიონი . . . . . . | 23458 |
| კავალერია (ცხენოსანი) 16 ესკადრ. . . . . . . | 2650 |
| არტილერია 126 ზარბაზნ. . | 3300 |
| საინჟინერო ჯარი . . . . | 1029 |
| სამხედრო დაწესებულებაში . | 877 |
| სულ . . | 31,690 |

ჯარების რიცხვი, თუ ომიანობაა, ამდენია:

| | ჯარის-კაცი |
|---|---|
| გამგეობანი და სამხედრო დაწესებულებანი ინდომებენ . . . . . . . | 1253 |
| ქვეითი ჯარია 60 ბატალ. | 46475 |
| კავალერია 16 ესკადრ. . . | 2650 |
| არტილერია 156 ზარბაზ. . | 3708 |
| პიონერების პოლკი . . . | 1020 |
| 12 ქვეითი დრუჟინა სათადარიგო ჯარი . . . | 11112 |
| 2 სათადარიგო ბატარეია 12 ზარბაზნით . . . . | 272 |
| სულ . . | 66,500 |

დაბალი ჯარის-კაცი

168 ზარბაზანი და მილიცია, ანუ ოპოლჩენიე, რომელშიაც ირიცხება 100,000-მდე მეტი შეიარაღებული მეომარი.

სერბია. სერბიაში 1.952,000 მცხოვრებელია. სერბიის ჯარი სამ რიგობად არის გაყოფილი. პირველი რიგობა მუდამ მზაა ომისათვის. მეორე რიგობა ისეთია, რომელსაც უმსა-

---

შემთხვევაში სხვა დღეებიც ვერაფერს სამსახურს-ღა გაგვიწევენ. რაღაც თვალთ-უხახავმა ჭიამ ხელი უნდა დაგვაბანინოს მამა-პაპის ნაშრომ-ნაამაგარს ვაზზე, ჩვენს ლხინსა და ნუგეშზე!..

ნაცარს ჩვენი ვენახი დიდი ხანია იცნობს, ზიანიც საგრძნობელი მიუცია ქართულ მეურნეობისათვის, მაგრამ მაინც ჭირს ვუძლებდით, რადგან აკვნიდგანვე გვასწავლეს, რომ ჭირს გაძლება უნდაო. ამ ანდაზის ძალით ჩვენ სულაც არ ვებრძოდით ნაცარს. არ გვეწვეოდა ეს უსიამოვნო სტუმარი—ხომ ძალიან კარგი და პატიოსანი, გვეწვეოდა კიდე-და, ჯანი და სული წასვლოდა. ვიყავით ღვთის ანაბარად და ის გვანუგეშებდა, რომ, თუ წელს წაგვახდინა ნაცარმა, გაგვიფუჭა ამაგი, ეგებ მერმისსა და იქითა მერმისს მაინც გავიხაროთ ყურძნის მოსავლითაო. ფილოქსერა და მილდიუ კი თურმე სხვა ჩახმახის დარდუბალა ყოფილა. რაკი ერთი შეუჩნდება ვაზს, აღარ მოშორდება თავიდამ, ვიდრე სულ ძირიანად არ გაახმობს და არ ამოაგდებს. თანაც საშინელი გამრავლება სცოდნია და ჩვენისთანა უიარაღო ხალხი, რა თქმა უნდა, მაგდენს ვერას დააკლებს. ამისთანა მსწრაფლსა და შეუპოვარს ჭირს დიდი და მსწრაფლი ბრძოლა უნდა, ბევრი და მალი წამლობა, რასაც ჩვენ ჩვენის ღონით, დაუხმარებლივ ვერას დროს ვერ შევსძლებთ.

**

რა წამს ევროპაში პირველად ამოჰყო თავი ფილოქსერამ და მიჰყო ხელი ვენახების ამოგდებას, ევროპიელები მაშინვე გაემკლავნენ ამ საშინელს მტერს, კიდეც შეაფერხეს მისი ძლევა-მოსილი ნავარდი და შეავიწროვეს მოედანი იმის საზარელ მოქმედებისა. მერე, როდესაც ყირიმის ვენახებს მოედო, იქაც დიდი მეცადინეობა გამოიჩინა ადგილობრივმა საზოგადოებამ და რუსეთის მთავრობამაც. მოდგა ჯერი კავკასიაზე. საქმე ის იყო, რომ სოხუმში და საზოგადოდ შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე გაექროთ ფილოქსერა და აქეთ აღარ გამოეშვათ.

ამ აზრით ჩვენის ქვეყნის გამგენიც შეუდგნენ ბრძოლას ფილოქსერასთან. ამოირჩიეს თავიანთი ნასწავლი კაცები, რომელთაც უნდა აეღოთ ხელში ფარ-ხმალი და ზღვის პირას დაჰხვედროდნენ ამ დაუპატიჟებელს სტუმარს. ფულიც საკმარისი გამონახეს პირველ შემთხვევისათვის, ჩაუდეს ამორჩეულ კაცებს ჯიბეში, დალოცეს და გაისტუმრეს სოხუმისაკენ.

ჩვენ სრულებით დახათრიჯამებულნი ვიყავით, რომ ჩვენი კაცები არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპიელ მეომრებს ფილოქსერისას, მით უმეტეს, რომ ყოველივე მოსახერხებელი საშუალება ამ ბრძოლისა გამორკვეული და ნაჩვენები იყო ევროპიელთა მიერვე. მართლაც, გავიდნენ ჩვენი ჰერკულესი-აგრონომები და მისვლისათანავე სოხუმში ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი სამეცნიერო იარაღებისა. ჩვენებურმა ჰერკულესებმა დაჰკრეს ბარი ვაზსა და აშალეს უმთავრესი ბუდე კავკასიის ფილოქსერისა. აშალეს და არც ხეირი დააყარეს არც ფილოქსერას და არც ვაზს—გადაბუგეს ერთიცა და მეორეც.

ბრძოლის ველიდამ, რასაკვირველია, გულის ძგერით ველოდებოდით ამბავსა და კიდეც მოგვდიოდა ამბავი ამბავზე. დღეს ამა-და-ამ კაცის ვენახთან ჩავიდა ჩვენი საკუთარი ჰერკულესი-აგრონომი და თავისის სამხედრო თვალით ფიცხლავ მიაგნო კვალს მტრისასაო. მიაგნო თუ არა, მაშინვე დაიმკლავა მარჯვენა ხელი და ისეთი მოგვერდი ჰკრა ფილოქსერას, რომ სულ თავის გაჩენის დღენი აწყევლინაო. მეორე დღეს სხვა ვენახში ჩაუხტა მტერს და, თუ სულ ასეთის გამარჯვებით იარა, მალე ერთიან გაძევებს ამ უჩინარს მწერსაო.

**

უკანასკნელი ამბავი ბრძოლისა ის იყო, რომ ჩვენებურმა ჰერკულესებმა ერთიან ამოსწყვიტეს ფილოქსერა და ამას იქით ფიქრი ნულარაფრისა გექნებათო. ჩვენ უმისოდაც მაგრე რიგად არ ვეტანებით ფიქრის საქმეს და ამ ამბავზე ხომ სულ ერთიან გადავიყარეთ გულიდამ დარდი. ჩვენებურს მეომრებს ვაქებ-ვადიდებდით დილიდამ საღამომდე. მართალია, სამი ათას თუმან ფულამდე დაუჯდა კავკასიას ეს ბრძოლა, მაგრამ რა სათქმელია რაღაც სამი ათასი თუმანი, როდესაც ამ ჭირს შეეძლო რამდენიმე მილიონი ზარალი მიეცა ჩვენის ქვეყნისთვის და უმისოდაც გაღარიბებული ხალხი უფრო გაეღარიბებინა და დაექვეითებინა.

დღეს, როგორც მკითხველს მოეხსენება ჩვენის გაზეთიდამ, გაზ. „მეურნიდამ“ და აგრეთვე რუსულ გაზეთების ამბებიდამ, სჩანს, რომ ჩვენი სიხარული ადრეულა ყოფილა და საქმის ვითარება-კი სწორედ სატირელი. ფილოქსერის ბრძოლის აქიები გაზვიადებული და შარბათიანი ბაიათები ყოფილა, რაღაც მოჩვენება, თეატრი და წარმოდგენა, მეტი არაფერი. „მეურნეს“ ანგარიშით, ფილოქსერას მოუხწევია იმერეთის გულამდე ეს ოთხი წელიწადია მას აქეთ. მოუხწევია, გაუკეთებია ბინა, გამოუსუტავს და გაუოხრებია ვენახები. ჩვენ-კი გვარწმუნებდნენ, რომ სოხუმს არ გასცილებია და ვერც გასცილდებოდა, რადგან ჩვენ სულ ზურგზე ბოლო ავადინეთ ზღვის პირასვეო. აღმოსავლეთი საქართველო დაარჩენია ბ-ნმა შავროვმა სულ ამ ოთხიოდე თვეის წინათ და დასავლეთი საქართველო დაიმედიანა ბ-ნმა ხოჯაევმა, რომ ფილოქსერის შიში ნურასოდეს ნუ გექნებათ, ხოლო თუ შეგიძლიანთ რამ, ემშეთ ნაცარსა და ობსაო...

სწორეთ უღღეთო არის დაბადებული ეს ჩვენი აგრეთ წოდებული სამეურნეო საზოგადოება. როცა ლაპარაკზე მიდგება საქმე, იმოდენა რეფერატებს წამოაყენებენ, რომ მთელი თითვე იმათ წაკითხვას ძლივს ათავებენ, და საკმარისის სიტყვის გადატანა საქმეზე, გინდა პაწაწაც იყოს ეს საქმე, რომ ყველაფერი დაუმთავრებელი, რაღაც შეთუთხნული და ადრეულა გამოდგეს, ისეთი ადრეულა, რომ ორ-სამ დღეს უკან თავისი კვალიც ვეღარ დასტოვოს. ასეთი საზარელი და საშინელი მტერი მოგვდგომოდეს კარსა, ამოდენა ფულის ქისა გადაშლილი იყოს თქვენ წინა და კაცი, მართებული, მცოდნე და საქმის მოყვარე კაცი ვერ უნდა იპოვოთ მაგოდენა ხალხში, რომ არც თქვენი სახელი დასცეს ძირსა და ქვეყანასაც გამოადგეს უკიდურესს გაჭირებაში!.

საკვირველი, სატირელი, საცინელი და ძალიან საგულისხმიერო ამბავია, თქვენმა მზემ... საწყალი ქართველი კაცი! გაუძვირდება კახური ღვინო, „გინდ თეთრი იყოს, გინდა წითელი“.

სანო

ხურნია პირველ რიგობაში გადაწყვეტილს ხანსა და ომიანობის დროს ზურგის ჯარად უნდა იყოს, თუმცა შეიძლება პირველ რიგობაშიაც ჩადგეს იმის გასაძლიერებლად. მესამე რიგობა მხოლოდ ქალაქდებსა და სიებშია დანიშნული და მოიწოდება დიდს გაჭირებაში. ყველა სერბიის ქვეშევრდომი მოვალეა მხედრობაში იმსახუროს, როცა შეხვდება რიგი, ვიდრე 20 წლიდამ 50 წლის ხნოვანებას მიაღწევს. ამ ხანში 20 წლიდამ 28-მდე პირველ რიგობაში ჩაირიცხება, 28—37-მდე—მეორე რიგობაში, 37—50 წლამდე—მესამე რიგობაში. ზოგიერთის არა-მძიმე სამსახურისათვის ომიანობის დროს ჯარში უნდა წავიდნენ 50 წლისაზე ხნიერნიც, თუ ეს გარემოება იმათ საოჯახო საქმეს არას დაუშლის. ვადა სამსახურისა პირველისავე რიგობის ჯარში 2 წელიწადია. ზოგიერთებისათვის-კი მოკლე ვადებიც არის დანიშნული. სავარჯიშოდ სათადარიგო ჯარის-კაცნი მოიწოდებიან ყოველ წლივ 30 დღით, მეორე რიგისანი—15 დღით, მესამე რიგობისანი—5 დღით.

მშვიდობიანობის დროს სერბიის ჯარის რიცხვი 23,231 დაბალ ჯარის-კაცამდეა.

ომიანობის დროს-კი ეს რიცხვი მატულობს და იკრიბება 109,375 დაბალი ჯარის-კაცი პირველის რიგობისა, მეორესი—53,392, მესამესი—52,200 სულ ომიანობის დროს 214,967 დაბალი ჯარის-კაცია, 6,292 ოფიცერი და 418 ზარბაზანი.

ამ ჟამად-კი სერბიელს ამოდენა ჯარის გამოყვანა გაუძნელდება. გაუძნელდება ჯერ იმიტომ, რომ ოფიცრები აკლია და მერე კიდევ იმიტომ, რომ მე-2 და მე-3 რიგობის ჯარის-კაცნი ცოტა მოუმზადებელნი ჰყავს სამხედრო საქმეში. უკანასკნელად რომ ოსმალეთს ომი ჰქონდა რუსეთთან, სერბიამ გამოიყვანა მხოლოდ 158,000 ჯარის-კაცი.

**ჩერნოგორია.** ჩერნოგორიაში ყველა მეომარია და მხედარი. იქ ყველა მოვალეა დაიცვას თავისი სამშობლო ქვეყანა. გაჭირებაში ჩერნოგორიას, სადაც მხოლოდ 170,000 მცხოვრებელია, შეუძლიან 25,000 შეიარაღებულს მეომარს მოუყაროს თავი. ხოლო თუ ძრიელ გაუჭირდა, იქნება 40 ათასი მებრძოლიც გამოიყვანოს.

**საბერძნეთი.** საბერძნეთში 2.050,000 მცხოვრებელია. საბერძნეთში მუდმივი ჯარია, მერე ხმელეთის ჯარი, ანუ მცველ-დარაჯნი, რომელსაც მოუწოდებენ ხოლმე ომიანობის დროს. ამ ჯარის სათადარიგო მხედრები კიდევ მხოლოდ მაშინ გამოჰყავთ, როცა მტერი დაესხმის ქვეყანას.

საბერძნეთის ჯარი მშვიდობიანობის დროს 26,118 კაცია. ომიანობის დროს გამოიყვანს 85,260 მეომარს აფიცრობის გარდა. აქვს 236 ზარბაზანი. ამას გარდა ხმელეთის ჯარი ანუ მცველ-დარაჯნი მოგროვდებიან არა ნაკლებ 75 ათასის კაცისა.

---

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

(დასასრული*)

### X

ნიუ-იორკში, სადაც უფრო ფულიანი არისტოკრატია სცხოვრობს ბევრი, პირველი ადგილი დიდის ქონების მომგებთ-კი არ უჭირავთ, არამედ იმათს შვილებსა და შვილიშვილებს. იმათ დრო არა ჰქონდათ გართობისა და მხიარულებისათვის, ოფლსა ჰღვრიდნენ, შრომობდნენ, ფულს იგებდნენ. მხოლოდ შვილებმა და მოხერხებულმა ამერიკელმა დედაკაცმა დაავიწყა ქვეყანას ამ სიმდიდრის, ამ მილიონების წყარო და პატრონნი სიმდიდრისა, მდაბიო წოდების ადამიანი, თავისის მოხდენილობითა და სილამაზით გაამშვენიერა. ქალმა დაავიწყინა შრომა ჯონ-იაკობ ასტორისა, კორნელიუს ვანდერბილტისა, პეტრე ლორილიარისა და ბევრთა სხვათა იმითი, რომ მათ მიერ მოგებული სიმდიდრე ღირსეულად მოიხმარა, საქმეში გამოიყენა. ამერიკელი მილიონების პატრონები მეფისოდენა შემოსავალს იღებენ უშრომლად, უჯარჯოდ, მეფის მოვალეობის აუსრულებლად. ამას შემდეგ აშკარაა, თუ რა ძლიერი იარაღი უჭირავთ ხელში სამოქმედოდ, სამოღვაწეოდ. 1883 წლის მარტის თვეში ქ-ნმა ვანდერბილტმა გაჰმართა ბალი, რათა განეახლებინა თავისი სასახლე, რომლის ააშენებლადაც წელიწად ნახევარი ქვისასი ხელოსანი და სამოცი ევროპიდგან მოყვანილი მოქანდაკე მუშაობდა, და ამ ბალმა თავისის სიმშვენიერითა და სტუმართა მორთულობით ევროპის სასახლეთა ყველა ბალებს გადააჭარბა. ყველა არისტოკრატია, მველის გვარიშვილობისა იქნება იგი, ქვეყნის სამსახურით, თუ სიმდიდრით ამაღლებული, იმასა სცდილობს, რომ თავისი წრე შემოივლოს, თავისიანები დაიახლოვოს და ამ გვარად თავისი უფლება დაიცვას. ერთ გვარად განკერძოებით სცხოვრობენ შეძლებულნი ოჯახნი ნიუ-იორკისანი, ბოსტონისა და ფილადელფიის მველის გვარის შთამომავალნი და აგრეთვე სამხრეთ შტატების არისტოკრატები და იმათის სახლის კარი მაგრად არის დაკეტილი იმ სხვა წოდების მეტიჩარასათვის, რომელიც იმათში გარევას არის მოწადინებული.

ამ განმარტოებულს, განკერძოებულსა და შეძლებულს წრეში მარტო ქალია თვალ-საჩინო ადგას, ქალს ახვევია გარშემო მთელი იმათი ცხოვრება, მთელი იმათი სიმდიდრე. რეპორტერები შორიდგან შესცქერიან ყოველს ნაბიჯს ამერიკელის ქალისას და მთელ წერილებად აქვთ აწერილი იმისი მორთულობა, იმისი მოგზაურობა და წვეულებანი. ასეთი ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, სულ არ შეეფერება დემოკრატიულს წყობილებას შეერთებულ შტატებისას. ამერიკის შეძლებულის ოჯახის ქალს თავისი მდივანი ჰყავს, მკითხველი ქალი, პარის-ფარეში, დედათა ამალა, მთელი ხროვა მოსამსახურეებისა და გოგოებისა. მოგზაურობის დროს რკინის გზაზედ თავისი საკუთარი ვაგონი აქვს, რომელსაც ერთს წუთს მოუბმენ ხოლმე და ახსნიან მთელს მატარებელს და რომელზედაც განსაკუთრებული მოსამსახურეები მსახურობენ. იმისი ეტლები ამ თავითვე იგზავნება წინ, სადილს დეპეშით შეუკვეთავენ ხოლმე სასტუმროებში. ასეთი ცხოვრება თვალსაჩინო ნიშანია ამერიკის შეძლებულის არისტოკრატიისა.

ამ ფულის მოყვარეებს და მფარველთ მილიონების პატრონებსა და წვრილ, ახალ ცხოვრების ასპარეზზედ გამოსულ ვაჭრებსა, ვექილებსა და ექიმებს შუა არის კიდევ შეძლებული ხალხი, რომელიც სრულიად მიემსგავსება საფრანგეთის ბურჟუაზიას. ასეთი ამერიკელი დიდად პატივის-მოყვარეა, მაგრამ ეკონომიური ცხოვრება არ იცის და საფრანგეთის ბურჟუასავით ხელ-მოჭერილი არ არის. ამისთანა ამერიკელის მეუღლე ხომ უფრო პატივის-მოყვარეა, ვიდრე შეძლება და ქონება ნებას აძლევს. იმის სილამაზესა და მოხდენილობას ღირსეული ჩარჩო უნდა. ასეთი ქალები ყველაფერზე ჰხარჯავენ, რასაც-კი მამაკაცი იგებს, თავ-მომწონენი არიან და დიდი იმედი აქვსთ რესპუბლიკის მერმისისა, იმ რესპუბლიკისა, რომელიც ერთს საუკუნეზედ უფრო ჩქარა უმდიდრესი მხარე შეიქმნება მთელს ქვეყანაზედ. ესენი მამა-პაპითვე აქეთ-იქით სიარულსა და წანწალს არიან ჩვეულნი და გული ერთს ადგილას ვერ უძლებთ: იქ ბინავდებიან, სადაც უფრო გარემოება გასამდიდრებლად უმართავს ხელს, ესე იგი ისეთს ქალაქებში, რომლის მკვიდრთა რიცხვი ყოველ წლივ მატულობს და ერთი ორად და სამად ჰხდება.

სადაც უნდა წავიდნენ, მამაკაცი ყველგან იპოვნის ფულის მოსაგებ საქმეს და ქალი—იმავე ყურადღებასა და პატივის-ცემას. სასტუმროებში, რკინის გზებზე, ხომალდებზე ამერიკელი ქალი ისე დადის, რომ ქმარი იმისთვის საჭირო არ არის მფარველად და შემწედ. პირ-იქით, თუ მამაკაცი ქალითურთ წავიდა სადმე, თითონ იმისთვის არის სასარგებლო და საჭირო. ამერიკაში უცოლო მოგზაურებს ხუმრობით ურჩევენ ხოლმე, რომ მოგზაურობის დროს თან თქვენი მზარეული დედაკაცი წაიყვანეთ, თუ გინდათ ათასი წვალება არ გამოიაროთ, უფრო მშვიდობიანი მგზავრობა გქონდეთ და ყველასაგან პატივცემულნიც იყვნეთო.

როცა ამერიკაში ყმაწვილი ქალი თხოვდება, თავისს მნიშვნელობას არა ჰკარგავს, იმის უფლების წრე თუმცა ვიწროვდება, მაგრამ ეს უფლება და გავლენა-კი უფრო ძლიერი ჰხდება. ქალის სიტყვას გამგონე ჰყავს, იმის რჩევას—შემსმენი, ქმრის მოღვაწეობაში ისიც მონაწილეობას იღებს თავისის გონებითა და ცოდნით. იმას მხოლოდ იმ მხრივ სძრახავენ, რომ მეტად ბევრის მფლანგველია, მერმისის ზრუნვა არ აწუხებს, მხედველობაში არა აქვს უცხარი უბედურება, საქმის უკუღმართად წასვლა, ავადმყოფობა და სხვანი. ეს საყვედური უფრო შუათანა წოდებას შეეფერება. შუათანა წოდება ამერიკისა მეტად ჰბაძავს მდიდრებს, იმასთანა სჭამავს ფეხსა და იმას ეტლება და ესწრობა. ამისთანები ბევრნი არიან განსაკუთრებით აღმოსავლეთ შტატებში. დასავლეთი, ზნეობრივად უფრო სალი და ფიზიკურად ძლიერი, წარმოადგენს იმ წრეს, რომელშიაც ფრთას ისხამს და ფეხს იდგამს პირველ-ყოფილი ტიპი.

ჩვენ გვიკვირს ხოლმე, რატომ ამერიკელებიც იმ თვალით არ უყურებენ თავიანთს ქალებს, როგორც ჩვენ ჩვენსა. ზოგნი ამბობენ, რომ ზრდილობიანობა გამოიწვევს ამერიკელთა თაყვანის-ცემას, ის ზრდილობიანობა, რომელიც იმის ზნეობრივს გაუტეხელობასა და ფიზიკურს გულგრილობას ჰფარავს; მეორენი გაიძახიან, რომ ამერიკელს ქალს არაფრითა აქვს დამსახურებული მამაკაცთა თაყვანის-ცემაო.

ყველას შენიშნული აქვს ნაკლულევანება ამ ღმერთად მიჩნეულის ადამიანიშვილისა: კეკლუცობის, მორთვა-სიმდიდრის სიყვარული მეტის-მეტად უსაზღვრო თავისუფლება ყოფა-ქცევისა, არა-საფუძვლიანი ცოდნა, და ამიტომ უკვირთ კიდეც. ყოველ ამაში, რასაკვირველია, მართალიც იპოვება, მაგრამ ამერიკელი ქალი მაინც უფრო მეტის პატივის ცემის ღირსია, ვიდრე ჩვენებსა ჰგონიათ.

მართალია, ამერიკელს ქალს კეკლუცობა უყვარს, მაგრამ ნამდვილი გრძნობა-კი ამით არა აქვს დაჩლუნგებული, კეკლუცობა მხოლოდ გარეგანი მოთხოვნილებაა იმის ბუნებისა. თუ მდიდრად ცხოვრება უყვარს, ამისი მიზეზი ის არის, რომ მთელს ამერიკას კეთილდღეობისა და სიმდიდრის მოპოვების სურვილი ამოძრავებს. ქალის თავ-ხედს ოპტიმიზმს განცვიფრებაში მოჰყავს ჩვენი ევროპიელი პესიმიზმი, მაგრამ ამ ოპტიმიზმსაც იმათი წარსული ამართლებს. თუ იგი თავისუფალის ყოფა-ქცევისაა, ეს იმას უნდა დაჰბრალდეს, რომ ამერიკელები საზოგადოდ იმ თავითვე დამოუკიდებელნი არიან და ამას გარდა ქალს ყველგან დიდი პატივისცემა აქვს. შეიძლება ამ უპირატესობას ამერიკელი ქალები ბოროტად ჰხმარობდნენ, ვინ ამბობს, მაგრამ დიდხანს მაინც არ გასტანს ხოლმე ეს ბოროტ-მოქმედება და ეს ქარაფშუტა ქალები ფრიად გონიერი, მშვიდობიანი და დაწყნარებული დედები ხდებიან. იმათი სიმხიარულე სიდამჯდრეს გონებისას არაფრით უშლის და იმათი გონებითი განვითარება ჩვენის ევროპიელ ქალების ამ გვარსავე განვითარებას გაცილებით აღემატება. მერე შეიძლება იმისი თქმა, რომ ამერიკელი ქალი და დედა ისეთი იდეალია, რომელსაც ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ განახორციელებსო? რასაკვირველია, ამას ვერავინ იტყვის. ამერიკელთა ცხოვრებამ, ზნემ, ჩვეულებამ და განონმა შექმნა ყმაწვილი ქალი ისეთი, როგორიც ეხლაა იგი. რომელი ამათგანი რითი დაეხმარა ქალის ამ გვარად გამოქმნასა და გამოკვეთას ნორჩს რესპუბლიკაში? რა შეხედულებისა იყო ამერიკელი, როგორ უყურებდა ქალების როლს, და ამ შეხედულობამ რა შედეგი იქონია? ამის გამოკვლევაშია ეხლა ამერიკელი მწერლობა, იძულებული სასამართლოში ატეხილ საჩივრებით, განონთა შეუთანხმებლობით ქორწინების საქმეში და აგრეთვე იმ წრის დედაკაცთა გამრავლებით, რომელნიც საზოგადოების პატივის-ცემას სრულიად მოკლებულნი არიან. თუ ექიმმა ავადმყოფის სატკივარს, მუწუკს მიაგნო, თითონ ეს მიგნება ნახევრად განკურნებაა, ანუ თავს-მდებია, რომ სატკივარს ასე თუ ისე მოშველება. ამერიკელები ამ ფრიად ძნელის საკითხის განხილვასაც ჩვეულებრივის გაბედულობით შეუდგნენ. იგი მართლაც ღირსია შესწავლისა და მწერლობის გადაწყვეტილებაც უსარგებლო არ იქნება.

ა—ი

*) იხ. „ივერია“ №№ 139, 140, 141, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149 და 150.

---

## წვრილი ამბები

ინგლისელი რომანისტი უილკი კოლინზი მძიმედ გამხდარა ავად. დედოფალი ვიქტორია და მემკვიდრე პრინცი უელსისა მუდამ დღე კითხულობენ იმის ამბავსა. რომანისტის მორჩენის იმედი არ არისო.

— 25,000 მანეთი მიუცია ერთს ინგლისურს წიგნის მაღაზიას დოქტორ ნანსენისათვის იმ წიგნის ხელ-ნაწერში, რომელშიაც აწერილია თურმე იმის მოგზაურობის ამბავი გრენლანდიაში.

— ამერიკის ერთს ქალაქში, სახელდობრ ცინცინატში, იქაური მღვდლები მალიან სცდილობენ, რომ ზაფხულში ეკლესიები დაიკეტოს და წირვა-ლოცვა შედგეს. თუ ვინმე შეაცდინა ეშმაკმა ჩვენს სამწყსოში ამ ზაფხულის თვეებში, მერე შემოდგომაზე გადავუხდით სამაგიეროს და დიდს სიცხეს დავაყენებთ გამუდმებულის წირვა-ლოცვითაო.

— ამერიკის ერთს შტატში, პენსილვანიაში, არსებობს განონი ლოთობის წინააღმდეგ. ახლა ამავე შტატში განუზრახავთ აღკრძალონ სმარება ყველისა. ყველი ისეთი საჭმელია, რომ ღვინოს აწყურებს და ასმევს კაცსაო.

— პარიჟში მისულა გამოფენის სანახავად 12 ინგლისელი, მაგრამ სასტუმროში არსად არ ჩამოსხდარან. თან მიუტანიათ კარავი, ლოგინები და საჭირო ავეჯი. დაუცვიათ კარავი ქალაქ გარედ, ღამე კარავში არიან და დღისით გამოფენას ათვალიერებენ. ყოველ დღე ერთ-ერთს ამხანაგს კარავში სტოვებენ რიგ-რიგით, რომ სადილი მზადებაში იყოს და ყოველივე საჭირო განკარგულება მოახდინოს ხოლმე. სადილად ერთად იკრიბებიან და სიამოვნებენ.

— შვეიცარიაში 1,000 სასტუმროა და შიგ 58,000 საწოლია გამართული. მოსამსახურენი ჰყავს 16,000. ყოველწლიური შემოსავალი ამ სასტუმროებისა 42. 400,000 ფრანკია, ესე იგი უფრო მეტი, ვიდრე შვეიცარიის მთავრობა ჰხარჯავს, ან ვიდრე შემოსავალი აქვს. სასტუმროების ხარჯი წელიწადში 28.800,000. შარშან დაუხარჯავს ღვინო 2,800,000 ფრანკისა, დაუხოცნიათ 1.740,000 ფრანკის ფრთოსანი, მოუხმარებიათ 1.000,000 ფრანკის თევზი, მწვანილეულობა 800,000 ფრანკისა, 480,000 ფრანკის ყავა, 400,000 ფრანკის შაქარი, 192,000 ფრანკის ჩაი, 160,000 ფრანკის ერბო და აღგილობრივი სხვა-და-სხვა საჭმელი და სანოვაგე 18 მილიონისა.

— ჰამბურგიდამ ვიღაც ჰაგენბეკმა, სამხეცოს პატრონმა, გაჰგზავნა მრავალი ნადირი და გარეული ფრინველები სამხრეთ ამერიკაში გემით, რომლის დატვირთვასაც ამ უცნაურის ცოცხალის საქონლით თითქმის მთელს დღეს მოუნდნენ. მხეცების საჭმელად გზაში 30 დღის განმავლობაში გაატანეს გემს 10 ხარი, 60 ცხვარი და მრავალი ბატკანი. ეს საჭმელი უნდა შეეჭამა 4 ლომს, 2 ვეფხვს, 8 პანტერს, 5 დათვს, 1 ალიგატორს, 2 ინდოეთის სპილოს, 6 ზებრს და სხვას. გარეულ ფრინველისათვის დიდ-ძალი ბრინჯი, პური, თივა და ჩალა დააწყვეს გემში. ყოველივე ესე ურმებით მოჰქონდათ ზღვის პირას რამდენისამე დღის განმავლობაში. ყოველივე დაეტია გემზე და გემიც გაუდგა გზას. გემის პატრონმა გადატანის ფასად 110,000 მარკა აიღო. მხეცები და ფრინველები ბუენოს-აირესში უნდა გადასცეს, სადაც ზოოლოგიური ბაღი იმართება.

---

## დეპეშა

18 მკათათვე

**პეტერბურგი.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ დღე და ღამე მოსვენებით გაატარა. სიდამბ-

ლემ სახისა და ენისამ იკლო; სუნთქვა უფრო წესიერია.

ვენა. მთავარი ჩერნოგორიისა, მემკვიდრე დანიილი და ასულნი მისნი მილიცა და ანასტასია დღეს მიდიან პეტერბურგს.

პარიჟი. 813-დამ ბულანჟე თერთმეტჯერ იქმნა ამორჩეული. გუშინ საღამოს ბულანჟელების გაზეთების რედაქციებ ახლო ჩოჩქოლი ემჩნეოდა. საიმისო უწესოება-კი არა ყოფილა-რა. პოლიციამ გაჰფანტა ხალხი „ოპერის“ მოედნიდამ და «კაპუციანების» ბულვარიდამ. შეპყრობილ იქმნა 40 კაცი, რომელთაც თავთავიანთ სახლში წასვლა არ მოინდომეს. ადმინისტრაცია დიდად სცდილობს თავისი გაიყვანოს. მთავრობამ მიიღო ყოველ-გვარი სამხედრო ღონის-ძიებანი. გუშინ საღამოს პარიჟში დაძვრებოდა 1500 აგენტი საიდუმლო პოლიციისა „Presse“-ის კანტორა გასინჯეს და იპოვეს წერილები, ლონდონში გასაგზავნად დამზადებულნი.

პარიჟი. გამოირკვა შედეგი 1257 არჩევანისა. ბულანჟე ამოირჩიეს 12 კანტონში; დერულედი ანგულემში 2000 ხმის უმეტესობით იქმნა არჩეული. კონსერვატორებმა შეიძინეს 12 ადგილი.

ათინა. კრიტის გუბერნატორი გადააყენეს თანამდებობიდამ. ექვსის კაცისაგან შემდგარი კამისია მიდის სტამბოლს და იქ უნდა მოელაპარაკოს ოსმალეთის მთავრობას, რა უფრო სასურველია დაუთმონ და ან რით შეიჯერიონ კრიტელები

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ 355 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 134 შეიწყნარა წინადადება მთავრობისა, რომ მოემატოს ჯამაგირი დედოფლის სახლეულობას. პალატამ უარ-ჰყო ლიბერალის მორლეის აზრი.

სპარსეთის შაჰი გამოეთხოვა ოჯსბორნში დედოფალს და დღეს საღამოს წავიდა პარიჟს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მკათათვე.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 76 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $155^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 265 |
| —მეორისა . . . . . | 246 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 99 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | $98^1/_2$ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | $84^1/_2$ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვალზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება

ი. გ. ჭავჭავაძის

მოთხრობა

„გლახის ნაამბობი“

ფასი 25 კაპ.

(10—3)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, ვაჟ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| სამართლის წიგნი კანტანკ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—13)

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ სალმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ სალმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Дов. ценз. Тифлисъ 18-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე